ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N№72
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 29.ოქტომბერი.2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, საქ.შსს სსიპ– დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო, მისი უფროსის მირიან ბაიდოშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მონეტარული ზღვრის დაცვით.

.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანია **გურჯაანის** რაიონული სასამართლოსთვის დაცვითი სიგნალიზაციის სისტემის მიწოდება-მონტაჟი - ინსტალაციის სახელმწიფო შესყიდვა (CPV 35121000).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება ასახულია სამონტაჟო მასალებში და შეადგენს 52 ლარს დღგ-ს ჩათვლით;

4.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული შესრულების ღირებულება შედგება:

ა) სახარჯი მასალები და ღირებულება: 2 ცალი **მოძრაობის დეტექტორი** (48 ლარი) და 1 ცალი **მაგნიტო-კონტაქტური დეტექტორი** (4 ლარი).

4.3. შემსყიდველი ვალდებულია მასალების ღირებულება გადაიხადოს მიწოდებისა და სამონტაჟო სამუშაოების შესრულების შემდეგ, მიღება - ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

4.4. ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული თანხის სრულად გადახდის შემდეგ სახარჯი მასალები გადადის "შემსყიდველის" საკუთრებაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - **ნუკრი ბაკაშვილი**.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების

აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირია - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - **ალექსი ლოლიშვილი;**

7. მიწოდების ვადა

7.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება და მონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2 მიწოდების ადგილი: ქალაქი გურჯაანი, სანაპიროს ქ.#24 (გურჯაანის რაიონული სასამართლო)

8. გარანტია

8.1 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - 6 (ექვსი) თვეს. საგარანტიო პირობების მოქმედების პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი შეცვალოს ახლით.
8.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა გავლენას არ ახდენს მიმწოდებლის გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
9.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
9.4. დაფინანსების წყარო: 2019 წლის **საკუთარი სახსრები**;

10. ხელშეკრულებაში ცვლილება

10.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;

10.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის და გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
12.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის და გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
12.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

ბ) იმ შემთხევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი“-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით,
13.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.
13.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
14.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა გავლენას არ ახდენს მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებებზე.

15.დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ
საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ს/ნ 203860642

მიმწოდებელი:

შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო
მის: ქ. თელავი, ჩოხელის ქN35; ს/კ211350928
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 კოდი 707117046

გიორგი კაკაურიძე

თავმჯდომარის მოადგილე

მირიან ბაიდოშვილი

სამმართველოს უფროსი

Mirian Baidoshvili

Digitally signed by Mirian Baidoshvili
Date: 2019.10.29 11:12:00 +04'00'